ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

დადგენილება:**დ-67. 6723181001**

თარიღი:**30/06/2023**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №8

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბაღდათის მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა -დასუფთავების, ნარჩენების მართვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე “ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე (www. matsne.gov.ge), 12/03/2018წ . სარეგისტრაციო კოდი 200130000.35.124.016302) შეტანილ იქნეს ცვლილება :

1.დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 (**ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური განაკვეთები)** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3

ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ყოველთვიური განაკვეთები

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის 1$მ^3$ საყოფაცხოვრებო ნარჩენზე განისაზღვროს 15 ლარით.

2. ერთი თვის მოსაკრებლის ოდენობა დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისადა ინდივიდუალურ მეწარმეთათვის გაიანგარიშება ფორმულით მ = გ X რ, სადაც:

- მ – ერთი თვის მოსაკრებელი დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისათვის, იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალურ მეწარმეთათვის (ლარი);

- გ – მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი);

- რ – ზომის ერთეულის ფაქტობრივი რაოდენობა (შესაბამისი ფართი, ადგილი, საწოლი და ა.შ.).

№	დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები	ზომის ერთეული	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ^3	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე სვეტი (№4): 12 თვე X 15ლარი – (1 მ3 ნარჩენის გატანის მომსახურების ღირებულება)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები გალერეები, არქივები	საერთო ფართის 1მ^2	0,04	0,05
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ^2	0,4	0,5
3	კინოთეატრები და თეატრები, საკონცერტო დარბაზები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,331	0,41
4	მოხუცებულთა და ბავშვთა სახლები (თავშესაფარი), უმწეოთათვის უფასო სასადილოები	მომსამხურების ერთეული	0,128	0,16
5	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არდაერიცხება)	ერთ მოსწავლეზე, აღსაზრდელზე	0,10	0,125
6	სასტუმროები	მომსამხურების ერთეულზე	2,0	2,5
7	საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები	ერთეული, ერთი საწოლი	1,16	1,45
8	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმების, სტომატოლოგიური და სამედიცინო კაბინეტები	საერთო ფართის 1მ^2	0,16	0,2
9	სასურსათო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,4	0,5
10	ქსელური სუპერმარკეტები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,76	0,95
11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,32	0,4
12	აფთიაქები,ბირჟები, საიუველირო, ანტიკვარიატის მაღაზიები,ზოომაღაზიები (სავაჭრო დარბაზი), ვეტერინარულიცენტრები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,65	0,81
13	აგრარული ბაზრები (სამუშაო ფართი), ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1მ^2	0,4	0,5
	შერეული საქონლის ბაზრობები (მათ შორის: შინაურ ცხოველთა და			

14	ფრინველთა ბაზრობები) და საბითუმო ვაჭრობის საწყობები და მაცივრები	საერთო ფართის 1მ^2	0,21	0,26
15	საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა, პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1მ^2	0,02	0,025
16	ავტოგასამართი, ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1მ^2	0,08	0,1
17	სანერგე მეურნეობები და სათბურები, ფერმები, სასაკლაოები	ღია საერთო ფართის 1მ^2 დახურული საერთო ფართის 1მ^2	0,008 0,04	0,01 0,05
18	სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო და სამრეცხაო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები, შავი და ფერადი ლითონების მიმღები პუნქტები	ღია საერთო ფართის 1მ^2 დახურული საერთო ფართის 1მ^2	0.02 0,14	0.025 0,175
19	აბანოები, საუნები და საცურაო აუზები	ღია საერთო ფართის 1მ^2	0.18	0.225
20	სადალაქოები, სილამაზის სალონები და კოსმეტოლოგიის და ესთეტიკის ცენტრები	ღია საერთო ფართის 1მ^2	0.55	0.69
21	სამეწარმეო საქმიანობის შენობის შიგნით მიმდინარე წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	ღია საერთო ფართის 1მ2	0,25	0,31
22	პიცერიები,სასადილოები, გარდა უმწეოთათვის უფასო სასადილოებისა. კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,4	0,5
23	რესტორნები	საერთო ფართის 1მ^2	0,7	0,87
24	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	საერთო ფართის 1მ^2	0.4	0,5
25	საცხობები, საოჯახო სამზარეულოები (დასაჯდომი ადგილების გარეშე)	სამუშაო ფართის 1მ^2	0,26	0,32
26	დისკოთეკები, ღამის კლუბები, კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი ცენტრები	საერთო ფართის 1მ^2	0,36	0,45
27	ავტოსადგომები და საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1მ^2 დახურული ფართის 1მ^2	0,008 0,08	0,01 0,1
28	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბაღები, ატრაქციონები, კარიერები	საერთო ფართის 1მ^2	0,008	0,01
29	სამხედრო ნაწილები და პენიტენციალური სისტემები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	0,6	0,75
30	საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები, სადაც	საერთო ფართის	0,008	0,01

	მიმდინარეობს საწარმოო პროცესი	1მ^2		
31	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა- ნაგებობების საწარმოო ნარჩენების გარდა (საწყობები)	საერთო ფართის 1მ^2	0,04	0,05

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;

ნოდარ გიორგიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი